„დაქირავებულ მეომართა როლი შუა საუკუნეების ომში, ვარანგთა გვარდიიდან კონდოტიერებამდე“

მაგისტრანტი: გოგა მუმლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

აბსტრაქტი ii

შესავალი iii

ლიტერატურის მიმოხილვა..... vi

თავი 1 1

დაქირავებულთა ფენომენის წარმოშობის საწყისი ეტაპები ანტიკურ და ძველ ცივილიზაციებში. 1

თავი 2 6

ვარანგთა გვარდია ბიზანტიაში 6

თავი 3 31

შვეიცარიელი დაქირავებულები 31

თავი 4 46

ლანდსკნეხტები 46

თავი 5 68

კონდოტიერები 68

თავი 6 92

დაქირავებულ მეომართა როლი შუა საუკუნეების საქართველოში 92

დასკვნა 110

გამოყენებული ლიტერატურა : 112

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია დაქირავებულ მებრძოლთა ინსტიტუტის წარმოქმნა და განვითარება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიაში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს თუ როგორ და რატომ ხდებოდა დაქირავებულ მებრძოლთა ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპის (ვარანგები, ლანდსკნეხტები, შვეიცარიელი დაქირავებულები, კონდოტიერები და სხვადასხვა დაქირავებული ჯგუფები საქართველოში) ჩამოყალიბება, ფუნქციონირება თუ დაკნინება, შუა საუკუნეების დასავლურ სამყაროში. ნაშრომი ეფუძნება წყაროების კრიტიკულ ანალიზს და იყენებს, როგორც პირველ ისე მეორეულ (თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა) წყაროებს. კვლევის სიახლე და შეიძლება ითქვას ხიბლიც იმაში მდგომარეობს, რომ კვლევა შეიძლება შეფასდეს ერთ-ერთ პირველ მცდელობად, რათა წარმოაჩინოს აღნიშნული კომპლექსური საკითხი ერთ ნაშრომში და მოახდინოს დაქირავებულ ჯარისკაცთა ორგანიზაციების მრავალმხრივი შედარებითი კვლევა, ქართლ სამეცნიერო სივრცეში. ნაშრომში კვლევის შედეგად ვლინდება დაქირავებულთა საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნები და ამ ნიშნების ერთობლიობა_ შუა საუკუნეების ქართულ, ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპული საზოგადოების პოლიტიკურ, სამხედრო თუ სოციალურ ცხოვრებაში.

Abstract

This paper analyzes the emergence and development of the institution of mercenaries in medieval Western Europe, Georgia and the Byzantine Empire. The main goal of the research is to determine how and why various types of mercenary organizations (Varangians, Landsknechts, Swiss mercenaries, Condottieri and various mercenary groups in Georgia) were formed, functioned and declined in the medieval Western world. This paper is based on a critical analysis of sources and uses both primary and secondary (modern scientific) literature. The novelty and, one might say, the charm of the paper lies in the fact that the research can be assessed as one of the first attempts to present this complex issue in a single work and to conduct a multifaceted comparative study of mercenary organizations in the Georgian scientific space. The research reveals common and distinctive features of mercenaries and the combination of these features in the political, military and social life of medieval Georgian, Byzantine and Western European societies.

შესავალი

შუა საუკუნეების ევროპის და კავკასიის რეგიონის ისტორიის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით სამხედრო საქმის განვითარებას და მასთან ერთად დაქირავებულ მებრძოლთა, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ფორმირებასა და როლზე საუბარს. მებრძოლთა როლზე, რომლებიც თავის დროზე განსაზღვრავდნენ, ცალკეული სამეფოების, ქალაქ-სახელმწიფოების, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო გავლენას. დაქირავებულ მებრძოლთა ინსტიტუტის აყვავება და დაკნინება ევროპულ პოლიტიკურ ერთეულებში არა მხოლოდ სამხედრო საჭიროებით იყო გამოწვეული, არამედ ეს გახლდათ იმ პერიოდში მიმდინარე